ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15204030, 16/10/2015 15:18:21

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მოზაიკა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405116235
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	11/09/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მცხეთის გას., N 13
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	mozaikageorgia@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01805046066, ვარლამ ცეკვავა, რუსეთი , საქართველო

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
716373191, , გაიოზ გაგუა, რუსეთის ფედერაცია	11.20000000%	
01805046066, ვარლამ ცეკვავა, რუსეთი , საქართველო	33.30000000%	
61001023653, მანველიტა ჩხარტიშვილი, რუსეთი , საქართველო	22.20000000%	
19001003173, სოსო ხვიჩავა	33.30000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

B16172627

გადახდის ნომერი: **EN1314101**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B16172627**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 20/12/2016 11:42:56
განცხადების ნომერი: 1314101
განცხადების მიღების დრო: 20/12/2016 11:20:23

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ვარლამ ცეკვავა/01805046066/.), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შპს**
საიდენტიფიკაციო კოდი: **405116235**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდების ახალი რედაქცია; პ/მ ასლები; მინდობილობები იხილეთ საქმეში N B15204030;

მომსახურება: 1 დღის ვადაში 100 + 5*1 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

1314101
გადახდის ნომერი: **EN1314101**

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **ვარლამ ცეკვავა**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **01805046066**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **თბილისი მცხეთის გას. N 13**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

საიდენტიფიკაციო კოდი: **405116235**

შესაცვლელი რეკვიზიტი

- წესდების ცვლილება

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდების ახალი რედაქცია; პ/მ ასლები; მინდობილობები იხილეთ საქმეში N B15204030;

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

მომსახურება : 1 დღის ვადაში 100 + 5*1 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ ვარლამ ცეკვავა /

განცხადების წარდგენის თარიღი: 20/12/2016 11:20:23

წესდება

ახალი რედაქცია

თბილისი

2016

მუხლი 1

ზოგადი დებულებანი

1.1.შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „საზოგადოება“) **„მოზაიკა“** წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
1.2. საზოგადოება არის კერძო სამართლის კომერციული (სამეწარმეო) იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს საზოგადოება იძენს დადგენილი წესით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საზოგადოებას შეიძლება ქონდეს ბეჭედი და სატიტულო ბლანკი.
1.3. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა:
ქართულ ენაზე: **შპს მოზაიკა**
ინგლისურ ენაზე: **LTD MOZAIKA**
1.4. საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდია: **405116235**
1.5.საზოგადოების სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
1.6.საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მცხეთის გას., N 13
1.7.საზოგადოების ელექტრონული მისამართი: **mozaikageorgia@gmail.com**
1.8. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.
1.9.სამეურნეო წილი ემთხვევა კალენდარულს.
1.10. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2
საზოგადოების საქმიანობის მიზანი და საგანი

2.1. საზოგადოება შექმნილია კომერციული (მოგების მიღების) მიზნით.
2.2. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი საგანია:

1. საინვესტიციო
2. სამშენებლო
3. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ იკრძალება.

2.3.საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.
2.4.იმ სახის კომერიციული საქმიანობის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოებიდან დამატებით ლიცენზიას და/ან ნებართვის აღებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ლიცენზიის და/ან ნებართვის მოპოვების შემდეგ.
2.5. საზოგადოება საქმიანობას წარმართავს ამ წესდების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სხვა ნორმატიული თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3
საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები

3.1.დამფუძნებელ პარტნიორთა უფლებები:
ა) პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას.

საზოგადოების დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყონებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართოს გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

ყველა პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება, გარდა ამისა მას უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ოღონდ ანგარიშის დამტკიცებამდე.

ბ) პარტნიორს უფლება აქვს გაასხვისოს წილი ან/და მემკვიდრეობით გადასცეს იგი. პარტნიორის მიერ წილის ნაწილობრივი ან მთლიანი გასხვისებისთვის აუცილებელია საზოგადოების 100%-ის ხმის მქონე პარტნიორთა მონაწილეობით ჩატარებული კრების თანხმობა და სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება. თანხმობის გაცემაზე საზოგადოების უარი უნდა იყოს მოტივირებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

გ) თითოეულ პარტნიორს აქვს წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

დ)პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში, მის მიერ საზოგადოებაში განხორციელებული შენატანის უკან მიღებისთვის დადგენილი ვადა შეადგენს 3 (სამი) თვეს, რომელიც აითვლება პარტნიორის მიერ საზოგადოებიდან გასვლის მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში პარტნიორი მოგებას მიიღებს საზოგადოებაში მოგების განაწილების დროს, გასვლამდე არსებული წილის და დაგროვილი მოგების შესაბამისად.

ე) ამ წესდების შესაბამისად, მიიღოს დივიდენდი საზოგადოების მოგებიდან.

3.2. საზოგადოების პარტნიორები ვალდებულნი არიან:

ა) არ გაახმაურონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

ბ) თავიანთი ქმედებით არ შელახონ საზოგადოების სახელი.

მუხლი 4

საზოგადოების მართვა. საზოგადოების პარტნიორთა კრება.

4.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

4.2.პარტნიორთა კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისთვის დაზღვეული წერილის გაგზავნით და კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

4.3. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი თუ მასზე არ გამოცხადდა ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ხმათა 100% -ით მიღება.

4.4. პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნირთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს.

4.5.თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებას და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

4.6.პარტნიორთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის და პარტნიორთა ხმების 100%-ით მიიღება გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

4.6.1.საზოგადოების წილებისა და საზოგადოების აქტივების გასხვისება. პარტნიორ(ებ)ის მიერ აქტივის ან/და წილის ნაწილობრივი ან მთლიანი გასხვისებისთვის აუცილებელია საზოგადოების 100%-ის ხმის მქონე პარტნიორთა მონაწილეობით ჩატარებული კრების თანხმობა.

4.6.2.საზოგადოების მიერ პროექტ(ებ)ის განსახორციელებლად სამშენებლო კომპანი(ებ)ის შერჩევა. იმ შემთვევაში თუ პარტნიორ(ებ)ისთვის მიუღებელია შერჩეული სამშენებლო კომპანია, მისი უარი უნდა იყოს მოტივირებული და დადასტურებული მტკიცებულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სამშენებლო კომპანიის შერჩევის საკითხი წყდება პარტნიორთა ხმების უმრავლესობით (50% -ზე მეტი ხმა).

4.6.3.საზოგადოების მიერ აშენებული ბინების გაყიდვის პილიტიკა.

4.6.4. საზოგადოების მიერ განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის დამტკიცება. პარტნიორებს ეკისრებათ ვალდებულება პროქტის განხორციელებისთვის უზრუნველყონ ფულადი თანხების შეტანა დამკიცებული გრაფიკის შესაბამისად. თუ პარტნიორი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, დადგენილი გრაფიკით ვერ შეაქვს თანხა, ის ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე გააფრთხილოს პარტნიორები აღნიშნულის თაობაზე. ვადის დაუცველობის, თანხის არ შეტანის ან დადგენილი გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება აქვთ ვალდებულების დამრღვევ პარტნიორს დააკისრონ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, შესატანი თანხის 0,5%-ის ოდენობით.

4.6.5.საზოგადოების ბიუჯეტის დამკიცება.

4.6.6. წილთა შეძენა და გასხვისება, ასევე, საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია.

4.6.7.სესხებისა და კრედიტების აღება.

4.6.8.უძრავი ქონებისა და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა.

4.6.9.საზოგადოების რეორგანიზაციის, დაშლისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სალიკვიდაციო კომისიის დანიშვნა და სალიკვიდაციო ბალანსის დამტკიცება.

4.6.10. საზოგადოების სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების შეტანა.

4.6.11. გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საზოგადოების მიერ ინვესტიციების განხორციელებას.

4.6.12.ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის/შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

4.6.13.დირექტორებისთვის თანხმობის მიცემა ნებისმიერი სახის გარანტიის გაცემაზე, ან გარანტიის მიცემა დანაკარგებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე ან/და გარანტად გამოსვლაზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის ან ნებისმიერი პირის ვალდებულებებზე.

4.6.14.ვალდებულებათა უზრუნველყოფა.

4.6.15. საზოგადოების პროექტ(ებ)ის შეჩერება. პროექტის შეჩერება საჭიროებს პარტნიორთა ხმების 100%-ით მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო იმ შემთვევაში თუ პარტნიორ(ებ)ი ეწინააღმდეგება პროექტის შეჩერების საკითხს, მისი უარი უნდა იყოს მოტივირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტ(ებ)ის შეჩერების საკითხი წყდება პარტნიორთა ხმების უმრავლესობით (50% -ზე მეტი ხმა).

4.7.პარტნიორთა კრების განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის და ხმების უმრავლესობით (50%-ზე მეტ ხმით) მიიღება გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

4.7.1.საზოგადოების სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა.

4. 7.2.საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა.

4.7.3. წლიური ფინანსური შედეგების დამტკიცება.
4.7.4. პროკურის გაცემა და გაუქმება.
4.7.5. აუდიტორის არჩევა.
4.7.6. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია.
4.7.7.სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა, შეცვლა გამოწვევა და ხელფასის დანიშვნა.
4.7.8. დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება.
4.7.9.წლიური ბიუჯეტის მიღება, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება.
4.8.პარტნიორს უფლება აქვს დაესწროს პარტნიორთა კრებას და მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.
4.9. თუ პარტნიორს არა აქვს საშუალება დაესწროს პარტნიორთა კრებებს პირადად, მას შეუძლია გასცეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა მესამე პირზე ან სხვა პარტნიორზე, რომ ამ უკანასკნელს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ასეთი მინდობილობა შეიძლება გაუქმდეს წერილობით, პარტნიორთა კრებამდე. თუ ასეთი მინდობილობა არ არის წარმოდგენილი, ჩაითვლება, რომ არადამსწრე პარტნიორს არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.
4.10. ყოველ პარტნიორთა კრებაზე აირჩევა კრების თავმჯდომარე.
4.11.პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ხმათა 100% -ით მიღება.
4.12. პარტნიორთა კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.
4.13. პარტნიორთა კრებაზე მუშაობის შედეგები დაფიქსირდება კრების ოქმში. კრების ოქმს ხელს აწერენ კრების დამწრე პარტნიორები ან მათი წარმომადგენლები. ოქმი დამოწმდება პარტნიორთა კრების თავმჯდომარის ხელმოწერით.
4.14. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

მუხლი 5
საზოგადოების დირექტორი

5.1. საზოგადოებისს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს.
5.2.დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. იგი უნდა ზრუნავდეს საზოგადოების საქმეებზე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. თუ დირექტორი დაარღვევს ამ ვალდებულებას, იგი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე. ამ შემთხვევაში დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი ვალდებულება.
5.3.დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოების სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლებას. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს ის მესამე პირებთან ურთიერთობაში.
5.4.დირექტორს უფლება აქვს გასცეს მინდობილობები საზოგადოების წარმომადგენლებზე სხვადასხვა საქმეების განსახორციელებლად.
5.5.დირექტორის კომპეტენციას განეკთვნება:

5.5.1. საზოგადოების ინტერესების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში;
5.5.2. საზოგადოების სახელით ხელშეკრულებების გაფორმება;
5.5.3.საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების შესრულება;
5.5.4.საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობა;
5.5.5.საზოგადოების მიმდინარე გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;
5.5.6.კონტროლი საზოგადოების საბუღალტრო აღრიცხვასა და საფინანსო საქმიანობაზე;
5.5.7.საზოგადოების საშტატო განრიგის დამტკიცება, დასასაქმებელ პირთა შერჩევა, მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება/შეწყვეტა;
5.5.8.საზოგადოების სახელით საბანკო ანგარიშების გახსნა და დახურვა;
5.5.9.ბრძანებებისა და მითითებების გაცემა, რომელიც სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის შესასრულებლად;
5.5.10.პარტნიორთა კრების მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულება;
5.5.11.საზოგადოების ხელმძღვანელობასთან და წარმოამდგენლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მითითებულ იქნება დირექტორის სამუშაო აღწერილობაში.
5.6. საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილებების რეგისტრაცია.
5.7. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის ან ზედავალიანების დადგენის შემთხვევაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ გადახდისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს სამი კვირისა, განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.
5.8. დირექტორი ვალდებულია შეადგინოს წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში, ასევე მოგების განაწილების წინადადება პარტნიორთა კრებაზე წარსადგენად.
5.9.დირექტორი ანგარიშვალდებულია პარტნიორთა კრების წინაშე და პასუხისმგებელია კომპანიის საქმიანობაზე მასზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 6
წლიური შედეგები

6.1. პარტნიორებს აქვთ წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.
6.2.წლიური წმინდა მოგება ნაწილდება პარტნიორთა წილის პროპორციულად.

მუხლი 7
ფილიალები

7.1. საზოგადოებას უფლება აქვს დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ.
7.2.გადაწყვეტილებას საზოგადოების ფილიალის დაარსებისა და მისი ხელმძღვანელი პირის დანიშვნის შესახებ იღებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.
7.3. ფილიალი საქმიანობას წარმართავს დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

მუხლი 8
რევიზია

8.1.პარტნიორთა საერთო კრებას უფლება აქვს ყოველწლიურად მოიწვიოს აუდიტორი, რომელიც საზოგადოებისგან, მისი პარტნიორებისგან და დირექტორებისგან სამართლებრივად და ეკონომიურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

8.2.რევიზია შეიძლება მოიცავდეს ანგარიშგების, წლიური ანგარიშისა და საქმის წარმოების პრაქტიკის შემოწმებას. ყოველგვარი საგანგებო შემთხვევის შესახებ, განსაკუთრებით სხვა საზოგადოებებთან საქმიანი ურთიერთობების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს პარტნიორებს.

მუხლი 9

ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1.საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც იღებს საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება ხმათა უმრავლესობით.

9.2. ლიკვიდაციას აწარმოებს საზოგადოების დირექტორი. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას ერთ-ერთი პარტნიორის მოთხოვნით სასამართლოს, კანონით დადგენილი წესით, უფლება აქვს ლიკვიდატორად დანიშნოს სხვა პირი, რომელიც არ არის დირექტორი.

9.3. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

9.4. სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

9.5.პარტნიორებს უფლება აქვთ ხმების საერთო რაოდენობის უმრავლესობით საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

პარტნიორთა ხელმოწერები:

გაიოზ გაგუა (პირადი ნომერი: 716373191)

წარმომადგენელი ეკატერინე ქაჯაია (პ/ნ 62001015467) ეკატერინე ქაჯაია

ვარლამ ცეკვავა (პირადი ნომერი: 01805046066) ვარლამ ცეკვავა

მანველიტა ჩხარტიშვილი (პირადი ნომერი: 61001023653)

წარმომადგენელი ეკატერინე ქაჯაია (პ/ნ 62001015467) ეკატერინე ქაჯაია

სოსო ხვიჩავა (პირადი ნომერი: 19001003173) სოსო ხვიჩავა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილება №344
თარიღი 20 ივლისი 2016 წ.
გვ.რაოდენობა 7 ხელმოწერა


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
სოსო
SOSO
გვარი / LAST NAME
ხვიჩავა
KHVICHAVA
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
19001003173
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
15.04.1956
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
15.08.2021
ბარათის No / CARD No
11IA05922
ხელმოწერა
SIGNATURE


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ვარლამ
VARLAM
გვარი / LAST NAME
ცეკვავა
TSEKVAVA
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
01805046066
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
20.08.1969
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
05.10.2021
ბარათის No / CARD No
11IA33679
ხელმოწერა
SIGNATURE


Georgia
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ეკატერინე
EKATERINA
გვარი / LAST NAME
ქაჯაია
KADZHAYA
მოქ. / CIT
RUS
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
62001015467
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
03.02.1977
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
13.09.2018
ბარათის No / CARD No
12PR02136
ხელმოწერა
SIGNATURE